# საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
# CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA



THE CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო КЫРТТЭЫЛА АКОНСТИТУЦИАТӘ ӠБАРҬА
THE CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
КЫРТТЭЫЛА АКОНСТИТУЦИАТӘ ӠБАРҬА THE CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA
THE CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო КЫРТТЭЫЛА АКОНСТИТУЦИАТӘ ӠБАРҬА
THE CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო



# საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
# CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA

2024

ბათუმი • BATUMI


CONSTITUTIONAL COURT
OF GEORGIA








CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი ორგანო, 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის საფუძველზე შეიქმნა და უფლებამოსილების განხორციელება 1996 წელს, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მიღების შემდეგ დაიწყო.

დაარსებიდან დღემდე, საკონსტიტუციო სასამართლომ ინსტიტუციური განვითარების დიდი გზა განვლო. უკანასკნელ წლებში არსებითად დაიხვეწა სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობისა და ხელმისაწვდომობის ხარისხი. გაზრდილი მიმართვიანობის ფონზე გაუმჯობესდა სამართალწარმოების როგორც პროცედურული წესები, ასევე საქმისწარმოების ადმინისტრირება.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა არაერთი პრეცედენტული გადაწყვეტილება, რომელმაც ღირებული წვლილი შეიტანა საქართველოს სამართლებრივი სისტემის განვითარების, კონსტიტუციის უზენაესობისა და სტაბილურობის განმტკიცების პროცესში და, სხვა საკითხებთან ერთად, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ინდივიდის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში.

დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება თამამად ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს კონსტიტუციური მართლწესრიგისა და ფუნდამენტური უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ სახელმწიფო ორგანოს. როგორც ლიბერალური დემოკრატიის იდეოლოგიურ პირმშოს, საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოში დემოკრატიული ცნობიერების შეუქცევადი ზრდის, სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარების პროცესში.



წინამდებარე გამოცემის მიზანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ცნობიერების ამაღლება, დაინტერესებული აუდიტორიის წინაშე, სასამართლოს უფლებამოსილებების, შემადგენლობისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ მოკლე ინფორმაციის წარდგენის გზით.

**პროფესორი მერაბ ტურავა**

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე**

The Constitution of Georgia, which was adopted on 24 August 1995, established the Constitutional Court of Georgia as a body of constitutional review.
The Constitutional Court commenced its work in 1996, after the relevant legislative framework was created.

Since its inception, the Constitutional Court has come a long way in institutional development. In recent years, the degree of reasoning and accessibility of court decisions has been substantially improved, and against a backdrop of increasing applications, both the procedural rules and the case management system were improved.

The Constitutional Court delivered a number of landmark judgements that have made a valuable contribution to the development of the Georgian legal system, the strengthening of the supremacy and stability of the Constitution and, among other things, have significantly improved the legal status of an individual in Georgia.

In retrospect, it can be boldly said that the Constitutional Court has become a state body focused on the protection of constitutional order and fundamental rights. As an ideological product of liberal democracy, the Constitutional Court makes a significant contribution to the irreversible growth of democratic consciousness in Georgia, and to the development of the rule of law.

The present publication is intended to raise awareness about the Constitutional Court of Georgia by presenting brief information about the competencies, composition, and main directions of the court's activities to an interested audience.

**Prof. Dr. Merab Turava**

**President of the Constitutional Court of Georgia**

# სასამართლოს შესახებ / ABOUT THE COURT

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კონსტიტუცია. კონსტიტუციაში გამოხატულია დემოკრატიული, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცების, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ნება.

საქართველოს კონსტიტუცია ეფუძნება ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობას. კონსტიტუციით განმტკიცებულია სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებისა და მისი კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში განხორციელების, კონსტიტუციით აღიარებულ და გარანტირებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, სახელმწიფოში სახელისუფლო სტაბილურობის განმტკიცებისათვის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შეიქმნა 1996 წელს. მისი შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" და საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილსამყოფელია ქალაქი ბათუმი.

On 24 August 1995, the Parliament of Georgia adopted the Constitution of Georgia. The Constitution proclaims the will to establish a democratic social order, economic freedom, and a legal and a social state, to enhance the state independence and peaceful relations with other peoples, and to secure universally recognised human rights and freedoms.

The Constitution of Georgia derives from the centuries-old traditions of the statehood of the Georgian nation and the historical and legal legacy of the Constitution of Georgia of 1921. The Constitution enshrines the exercise of state authority on the basis of separation of powers.

The Constitutional Court of Georgia is a judicial body of constitutional review that plays a key role in view of observing constitutional provisions, securing the functioning of state institutions constitutional framework based on the separation of powers, protecting constitutional human rights and freedoms, and enhancing the stability of the state.

The Constitutional Court was established in 1996. The legal basis of its organisation and functioning is the Constitution of Georgia, the Organic Law of Georgia "On the Constitutional Court of Georgia", and the Rules of the Constitutional Court.

The Constitutional Court of Georgia is based in the city of Batumi.

1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია მიიღო

On February 21, 1921, the Constituent Assembly adopted the first Constitution of the Democratic Republic of Georgia



# საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები

საკონსტიტუციო სასამართლო ორგანული კანონით დადგენილი წესით: **(საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 60.4)**

ა) ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით;

ბ) საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან მთავრობის სარჩელის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე;

გ) საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იხილავს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლომ და რომელიც მისი საფუძვლიანი ვარაუდით შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას;

დ) საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, გენერალური პროკურორის, ეროვნული ბანკის საბჭოს, გენერალური აუდიტორის, სახალხო დამცველის ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანოს სარჩელის საფუძველზე იხილავს დავას შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ;

ე) საქართველოს პრეზიდენტის ან მთავრობის სარჩელის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის სარჩელის ან წარდგინების საფუძველზე იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხს;

ვ) საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან მთავრობის სარჩელის საფუძველზე იხილავს პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს;

ზ) პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან შესაბამისი პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხს;

თ) საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს რეფერენდუმის ან არჩევნების მომწესრიგებელი ნორმისა და ამ ნორმის საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას;

ი) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეცხრე თავთან მიმართებით;

კ) ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის საქმიანობას ახორციელებს კანონიერების, კოლეგიალობის, საქვეყნოობის, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის, უფლებამოსილებათა მთელი ვადით საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დამოუკიდებლობის, ხელშეუხებლობისა და შეუცვლელობის საწყისებზე.

ეროვნულმა ბანკმა, საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღებიდან 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად, საკოლექციო მონეტა გამოუშვა

The National Bank of Georgia issued a new collector coin to mark the 100th anniversary of the adoption of the first Constitution of Georgia.



# COMPETENCIES OF THE CONSTITUTIONAL COURT

The Constitutional Court of Georgia shall in accordance with the procedures established by the organic law: **(Article 60.4, Constitution of Georgia)**

a) review the constitutionality of a normative act with respect to the fundamental human rights enshrined in Chapter Two of the Constitution on the basis of a complaint submitted by a natural person, a legal person or the Public Defender;

b) adjudge upon the constitutionality of a normative act on the basis of a complaint submitted by the President of Georgia, by at least one-fifth of the Members of Parliament, or by the Government;

c) on the basis of a submission by a common court, review the constitutionality of a normative act to be applied by the common court when hearing a particular case, and which may contravene the Constitution according to a reasonable assumption of the court;

d) review disputes about the competences of a respective body on the basis of a complaint submitted by the President of Georgia, the Parliament, the Government, the High Council of Justice, the General Prosecutor, the Board of National Bank, the General Auditor, the Public Defender or the supreme representative or executive body of an autonomous republic;

e) review the constitutionality of international treaties on the basis of a complaint submitted by the President of Georgia, the Government, or by at least one-fifth of the Members of Parliament;

f) review the constitutionality of activities of a political party, or of the termination of powers of a member of the representative body elected upon nomination by this political party, on the basis of a complaint submitted by the President of Georgia, the Government, or by at least one-fifth of the Members of Parliament;

g) review the constitutionality of Parliament's decision to acknowledge or prematurely terminate the powers of a Member of Parliament, on the basis of a complaint submitted by at least one-fifth of the Members of Parliament or the respective individual;

h) review disputes related to norms regulating referenda or elections, and the constitutionality of referenda and elections held or to be held based on these norms, on the basis of a complaint submitted by the President of Georgia, by at least one-fifth of the Members of Parliament, or by the Public Defender;

i) review the constitutionality of a normative act with respect to Chapter Nine of the Constitution on the basis of a complaint submitted by the representative body of local self-government;

j) exercise other powers determined by the Constitution.

The Constitutional Court performs its duties on the basis of principles of legality, collegiality, publicity, adversarial and equality of arms, independence, immunity and permanence of members of the Constitutional Court for the entire term of their office.

# საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ცხრა მოსამართლისაგან - - საკონსტიტუციო სასამართლოს წევრისაგან, რომელთაგან აირჩევა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის ორი მოადგილე და საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი. საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში მონაწილეობს საქართველოს სამი უმაღლესი სახელმწიფო ორგანო - - საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ხოლო სამ წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადა 10 წელია. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი თავისი მოვალეობების განხორციელებისას დამოუკიდებელია. იგი ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად. დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის საქმიანობაში ჩარევა. კონსტიტუციით უზრუნველყოფილია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ხელშეუხებლობა. კანონმდებლობით გათვალისწინებულია სასამართლოს წევრის დამოუკიდებელი საქმიანობის უზრუნველყოფის სხვა გარანტიები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს. სასამართლოს თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს სულ ცოტა 3 წევრს, სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის ამოწურვიდან ან უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტიდან 2 კვირის ვადაში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ორ მოადგილესა და საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანს, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით, 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება პლენუმისა და ორი კოლეგიისაგან. პლენუმის შემადგენლობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრავე წევრი. კოლეგიის შემადგენლობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხი წევრი. კოლეგიის შემადგენლობას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს პლენუმი. საქმის განხილვისას და გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგია მოქმედებს როგორც საკონსტიტუციო სასამართლო.

# COMPOSITION OF THE CONSTITUTIONAL COURT

The Constitutional Court of Georgia consists of nine justices - the members of the Constitutional Court, out of whom the President of the Constitutional Court, two Vice-Presidents and the Secretary to the Constitutional Court are elected.  Three highest state authorities take part in the formation of the Constitutional Court - three members of the Constitutional Court are appointed by the President of Georgia, three members are elected by the Parliament of Georgia by a majority of at least three-fifths of the total number of its members and three members are designated by the Supreme Court of Georgia. The term of office of a member of the Constitutional Court is 10 years. A justice of the Constitutional Court shall not have previously held this office.

The members of the Constitutional Court are independent in performing their duties. They evaluate the actual facts and make decisions based solely upon the Constitution of Georgia. Interference in their activities is inadmissible and punishable under the law. The Constitution secures the personal immunity of a member of the Constitutional Court.

The legislation provides for other guarantees with the view of securing the independence of a member of the Court.

The Constitutional Court elects a President from among its members for a term of 5 years. A person who has already held the position of president of the Constitutional Court shall not be re-elected. A candidate for President of the Constitutional Court may be nominated by at least three members of the Constitutional Court within two weeks after the expiry of his/her term of office or premature termination of his/her powers as President of the Court.

Two Vice-Presidents of the Constitutional Court and the Secretary to the Court are elected by the Plenum upon the nomination of the President of the Constitutional Court for a term of 5 years.

The Constitutional Court of Georgia consists of the Plenum and two Boards. The Plenum is composed of all nine members of the Constitutional Court. Each of the Boards is made up of four justices. The composition of the Boards is approved by the Plenum upon the submission of the President of the Court. While considering and adjudicating upon a case, a Board acts as the Constitutional Court.








საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA






## მერაბ ტურავა
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე

## MERAB TURAVA
President of the Constitutional Court of Georgia

დაიბადა 1964 წლის 23 სექტემბერს ქ. ზუგდიდში.

წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1990 წ.), სპეციალობით სამართალმცოდნეობა.

**1989–1990** წლებში სწავლობდა იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ფაკულტეტზე.

**1990–1991** წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტი.

**1992–1997** წლებში იყო ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი და სისხლისსამართლებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტის მკვლევარი. დაიცვა სამეცნიერო დისერტაცია და მიენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი ბერლინის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მიერ.

**1998–2001** წლებში იყო საქართველოს სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის წევრი.

**1998–2005** წლებში ეკავა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტის თანამდებობა, იმავდროულად, იყო საქართველოს იუსტიციის სასწავლო (სამოსამართლო სწავლების) ცენტრის გამგეობის წევრი და სისხლის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი.

**1998-2005** წლებში სასწავლო ვიზიტებით იმყოფებოდა გერმანიის მოსამართლეთა აკადემიაში (ვუსტრაუ), ევროპული სამართლის აკადემიაში (ტრირი), გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო და უზენაეს სასამართლოებში, შვეიცარიის უზენაეს სასამართლოში, საერთაშორისო და ევროპულ სასამართლოებში. 2004 წლის დეკემბერში მონაწილეობდა მსოფლიოს სასამართლოთა თავმჯდომარე მოსამართლეების მე-5 საერთაშორისო კონფერენციაში (ლაქნაუ, ინდოეთი).

**1999–2001** წლებში მონაწილეობდა ევროკავშირის ტასისის (TACIS-EU) პროექტში სამოსამართლეო სწავლების საკითხების ექსპერტად.

**1999-2006** წლებში ეკავა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის, ხოლო 2000-2005 წლებში ამავე პალატის თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა.

**2001–2003** წლებში იყო წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ექსპერტი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებასთან (რომის სტატუტთან) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობისა და რომის სტატუტის იმპლემენტაციის საკითხებში (გერმანელ პროფესორ კლაუს კრესთან თანამშრომლობით). 2002 წელს მაქს პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტში (ქ. ფრაიბურგი) ჩაატარა სამეცნიერო კვლევა საერთაშორისო სისხლის სამართალში.

**2001–2004** წლებში ხელმძღვანელობდა უშიშროებისა და სამართალდაცვის სისტემის ორგანოების ინსტიტუციური რეფორმის უწყებათაშორისი კომისიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის შემმუშავებელ სამუშაო ჯგუფს.

**2003-2010** წლებში სამეცნიერო მივლინებებით იმყოფებოდა ბერლინის, იენის და ბაზელის უნივერსიტეტებში. 2006-2011 წლებში მონაწილეობდა იენის ფრიდრიხ შილერისა და ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით განხორციელებულ სისხლის სამართლის სამეცნიერო პროექტში.

**2005–2008** წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

**2007-2012** წლებში იყო საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი და ამავე სკოლის სისხლის სამართლის დეპარტამენტის უფროსი.

**2008–2009** წლებში იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კვლევითი პროექტის „ევროპული სისხლის სამართლის განვითარებისათვის საქართველოში” სამეცნიერო დირექტორი. 2008 წელს მონაწილეობდა ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (GEPLAC) მიერ ევროკავშირის ჩარჩო-გადაწყვეტილებებთან ქართული კანონმდებლობის შესაბამისობის დადგენაში.

**2011-2013** წლებში მუშაობდა ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის, იენის ფრიდრიხ შილერის სახელობისა და კიოლნის უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტების სამეცნიერო ინსტიტუტებში, მოწვეული პროფესორის სტატუსით, ალექსანდრე ჰუმბოლდტის სამეცნიერო ფონდის კვლევითი სტიპენდიით.

**2013 წლის** იანვრიდან მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორად და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორად. 2013 წლის 5 აგვისტოს დაინიშნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის შედარებითი და ტრანსნაციონალური სისხლის სამართლის ინსტიტუტის დირექტორად. კითხულობს ლექციებს სისხლის სამართალში, საერთაშორისო და ევროპულ სისხლის სამართალში.

**2015 წლის 20 მარტს** საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად. ამავე წლის 30 მარტს, ფიცის დადების დღიდან, შეუდგა მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებას.

**2016 წლის 2 ნოემბერს** საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ არჩეულ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნად.

**2018 წლის 12 იანვარს** საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ არჩეულ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ და პირველი კოლეგიის თავმჯდომარედ.

**2020 წლის 25 ივნისს** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ არჩეულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ.

არის არაერთი სახელმძღვანელოს და სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

Born on 23 September 1964, in Zugdidi.

Graduated with honors from the Law Faculty of Ivane Javakhishvili Tbilisi State University (1990), with specialty of Law.

**During 1990-1990** studied at the Faculty of State and Law of Friedrich Schiller University Jena.

**During 1990-1991** was a post-graduate student at the Law Faculty of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

**1992–1997** pursued doctoral studies at the Law Faculty of Humboldt University of Berlin and was a research fellow at the Institute of Criminal Law. He defended his doctoral thesis and was awarded the degree of Doctor of Law by the Law Faculty of Berlin University.

**During 1998–2001** was a member of the Working Group that elaborated the draft Criminal Code of Georgia within the State Commission of Legal Reform of Georgia.

**During 1998–2005** was an assistant Professor at the Law Faculty of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, and a member of the board of the training center for judges at the Ministry of Justice of Georgia and a tutor of criminal law at the training center.

**During 1998-2005** he conducted several study visits - to the German Judicial Academy in Wustrau, the Academy of European Law in Trier, the Federal Constitutional and Supreme Courts of Germany, the Federal Supreme Court of Switzerland, international and European courts. In 2004 participated in the Fifth International Conference of the Chief Justices of the World in Lucknow, India.

**During 1999–2001** was an expert of the judicial training project of TACIC-EU.

**During 1999-2006** served as a Judge at the Chamber of Criminal Cases of the Supreme Court of Georgia, whereas during 2000-2005 presided over the Chamber of Criminal Cases and was a Vice-President of the Supreme Court of Georgia.

**During 2001–2003** was an expert of the International Committee of Red Cross (ICRC) working on the compatibility of the legislation of Georgia with the Statute of the International Criminal Court (the Rome Statute) and implementation of the Rome Statute (in cooperation with German Professor Claus Kress). In 2002 was a research fellow in international criminal law at Max Planck Institute for Foreign and International Criminal Law in Freiburg.

**During 2001-2004** was a head of the Working Group elaborating the draft Criminal Procedure Code within the Interagency Commission of Institutional Reform of the System of Security and Law-enforcement Agencies.

**During 2003-2010** was on an academic mission to the Universities of Berlin, Jena and Basel (2003-2010). During 2006-2011 participated in an academic project on criminal law implemented in partnership with Friedrich Schiller University Jena and Humboldt University of Berlin.

**During 2005–2008** was an associate Professor at the Law Faculty of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

**During 2008–2009** was an Academic Director of a research project for the Development of European Criminal Law in Georgia implemented within Shota Rustaveli National Science Foundation. In 2008 participated in research on the compatibility of Georgian legislation with framework decisions of the European Union carried out by the Georgian–European Policy and Legal Advice Centre (GEPLAC).

**During 2011-2013** was a Visiting Professor and Research Scholar of Alexander von Humboldt Foundation at the research institutes of the law faculties of Humboldt University of Berlin, Friedrich Schiller University Jena and the University of Cologne with Alexander von Humboldt Scientific Scholarship.

**Since 2013** has been a Professor at the Law Faculty of Ivane Javakhishvili Tbilisi State University and the School of Law of Grigol Robakidze University. On August 5, 2013 was appointed as the Director of the Institute of Comparative and Transnational Criminal Law at the Law Faculty of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Delivers lectures in criminal law, international criminal law and European criminal law.

**On March 20, 2015** was elected as the member of the Constitutional Court of Georgia by the Parliament of Georgia. He started to exercise the authority of the judge on March 30, 2015 from the day of oath-taking.

**On November 2, 2016** was elected as the Secretary of the Constitutional Court of Georgia by the Plenum of the Constitutional Court.

**On January 12, 2018,** by the Decision of the Plenum of the Constitutional Court of Georgia, he was elected as a Vice-President of the Constitutional Court of Georgia and a Chairman of the First Board.

**On June 25, 2020** was elected as the President of the Constitutional Court by the Plenum of the Constitutional Court of Georgia.

Has authored numerous manuals and academic articles.



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA




## ვასილ როინიშვილი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, პირველი კოლეგიის თავმჯდომარე

## VASIL ROINISHVILI

Vice President, Chairperson of the First Board of the Constitutional Court of Georgia

დაიბადა 1977 წლის პირველ თებერვალს ქ. თბილისში.

წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1999 წ.), სპეციალობით სამართალმცოდნეობა.

**2000 წელს** დაინიშნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კადრებისა და იურიდიული განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ.

**2000-2002** წლებში იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკადრო საკითხთა დეპარტამენტის, სასჯელაღსრულების ორგანოთა საკადრო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

**2002-2003** წლებში ეკავა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის სააღსრულებო წარმოებათა სამმართველოს უფროსის თანამდებობა.

**2003** წელს იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკადრო საკითხთა დეპარტამენტის უფროსი.

**2004** წელს მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში.

**2004-2006** წლებში იყო საქართველოს გენერალური პროკურატურის საკადრო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი; კადრების სამმართველოს უფროსი.

**2006-2008** წლებში იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი.

**2008-2009** წლებში იყო საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე.

**2009** წელს იყო საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრი.

**2009-2020** წლებში იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე (სხვადასხვა დროს იყო უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე, სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე).

**2020 წლის 29 მაისს** საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის №28/პლ დადგენილებით დაინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად. ამავე წლის 17 ივნისიდან, ფიცის დადების დღიდან, შეუდგა მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებას.

**2020 წლის 25 ივნისს** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ არჩეულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ და პირველი კოლეგიის თავმჯდომარედ.

Born on February 1, 1977 in Tbilisi.

He graduated with honors from the Faculty of Law of Ivane Javakhishvili State University (1999), majoring in jurisprudence.

**In 2000** - Deputy Head of the Personnel and Legal Education Department of the Ministry of Justice of Georgia.

**In 2000-2002**, he was the head of the Department of Personnel Affairs of the Ministry of Justice of Georgia, the Division of Staffing of Penitentiary Bodies.

**In 2002-2003**, he held the position of Head of the Enforcement Proceedings Division of the Enforcement Department of the Ministry of Justice of Georgia.

**In 2003**, he was the head of the Personnel Affairs Department of the Ministry of Justice of Georgia.

**In 2004**, he worked in the Ministry of State Security of Georgia.

**In 2004-2006**, he was the head of the Department of Staffing of the General Prosecutor's Office of Georgia; Head of Personnel Department.

**In 2006-2008**, he was the prosecutor of the Autonomous Republic of Adjara.

**In 2008-2009**, he was the Deputy Chief Prosecutor of Georgia.

**In 2009**, he was a member of the National Energy and Water Supply Regulatory Commission of Georgia.

**In 2009-2020**, he was a judge of the Supreme Court of Georgia (at different times he was a judge of the Criminal Chamber of the Supreme Court, chairman of the Chamber of Civil Affairs, chairman of the Chamber of Administrative Affairs, deputy chairman of the Supreme Court).

**On May 29, 2020**, he was appointed as a member of the Constitutional Court of Georgia by Resolution No. 28/Plen of the Plenum of the Supreme Court of Georgia. From June 17 of the same year, from the day of taking the oath, he began to exercise the powers of a judge.

**On June 25, 2020**, he was elected by the Plenum of the Constitutional Court of Georgia as the Vice President of the Constitutional Court and the Chairperson of the First Board






## ევა გოცირიძე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი

## EVA GOTSIRIDZE

JUSTICE

დაიბადა 1963 წლის 7 ივლისს ქ. თბილისში.

წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1987 წ.), სპეციალობა სამართალმცოდნეობა.

**1992-1996** წლებში იყო საქართველოს უზენაეს სასამართლოს უფროსი კონსულტანტი.

**1994-1997** წლებში გახლდათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის წევრი, ხოლო 1995-1999 წლებში - ჟურნალ „მართლმსაჯულების მაცნეს" სარედაქციო კოლეგიის წევრი.

**1996 წელს** გაიარა TACIS-ის მენეჯმენტის კურსი.

**1996-1997** წლებში იყო უზენაეს სასამართლოს სასამართლო პრაქტიკის განზოგადების განყოფილების უფროსი.

**1996-1997** წლებში ხანგრძლივი სამეცნიერო სტაჟირებით იმყოფებოდა უეინის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მიჩიგანი, აშშ, სადაც, გარდა სამეცნიერო მოღვაწეობისა, ახორციელებდა პედაგოგიურ საქმიანობასაც. ამავე უნივერსიტეტში მან გაიარა ინგლისური ენის სპეციალური კურსიც.

**1998** წელს სტაჟირება გაიარა ქ. ჰანოვერის ფედერალიზმის ინსტიტუტში (გერმანია).

**1997** წელს არჩეულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად, სადაც საქმიანობდა 2000 წლამდე.

**1998** წელს გახდა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, სპეციალიზაცია: კონსტიტუციური სამართალი, საერთაშორისო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი); სადისერტაციო შრომა: „იმპიჩმენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, (კონსტიტუციური დილემები").

**2000-2005** წლებში იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მისივე დაარსებული ადამიანის უფლებათა ცენტრის დირექტორი, ხოლო 2005-2006 წლებში - საქართველოს უზენაესი სასამართლოს მრჩეველი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალში.

**2006** წელს, დისერტაციის დაცვის შემდეგ, მიენიჭა საერთაშორისო სამართლის დოქტორის კვალიფიკაცია ("Magna Cum Laude"), სპეციალიზაცია: საერთაშორისო სამართალი; სადისერტაციო შრომა: „გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში (სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით").

**2007-2013** წლებში გახლდათ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კონტრაქტორი სასამართლოს იურისპრუდენციის დამუშავებისა და თარგმნის საკითხებზე (HRTF translations project).

**2007** წელს გაიარა სტაჟირება და ტრენინგი ევროპის სამართლის აკადემიაში (ტრირი, გერმანია); ხოლო 2009 წელს ისრაელის უმაღლეს სასამართლოსა და ქნესეთში. მიღებული აქვს: OSCE, TACIS, ABA, ERA და "შტატის სასამართლოთა ეროვნული ცენტრის" (The National Centre of State Courts) (აშშ) საერთაშორისო სერთიფიკატები.

**2009-2013** წლებში იყო დამცველი ადვოკატი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაჩივრების საკითხებზე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. 2010 წელს მიღებული აქვს საადვოკატო ლიცენზია სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

**2012** წლიდან საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორია (საკონსტიტუციო სამართალი, ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალი).

**2013** წელს გაიარა სტაჟირება და ტრენინგი სამოსამართლო ქცევის კალიფორნიის კომისიაში (სან-ფრანცისკო); 2014 წელს საფრანგეთის სააპელაციო სასამართლოების ავუეთა (Avoués) ეროვნულ პალატაში (პარიზი); 2014 წელს დრეზდენის უმაღლეს სამხარეო სასამართლოში, ხოლო 2015 წელს - ესპანეთის მართლმსაჯულების მთავარ საბჭოში (მადრიდი).

**2013-2016** წლებში იყო საქართველოს სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

**2013-2017** წლებში გახლდათ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. ამავე წლებში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას იუსტიციის უმაღლეს სკოლაში.

**2015** წელს გახდა ადამიანის უფლებათა ეროვნული მწვრთნელი, (გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) საქართველოში).

**2016** წლიდან არის აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი.

არის ავტორი 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა, რომლებიც გამოქვეყნებულია მსოფლიოს 6 ქვეყანაში სხვადასხვა ენაზე.

გამოცემული აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების თარგმანების 6 კრებული, რომლებიც გამოქვეყნებულია შესაბამისი ანალიზითა და რეკომენდაციებით (სულ 204 საქმე).

**2017** წლის 1 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად. 2018 წლის 12 იანვრიდან, ფიცის დადების დღიდან, შეუდგა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებას.

Born on 7 July, 1963 in Tbilisi.

Graduated from Ivane Javakhishvili Tbilisi State university, Faculty of Law (1987); with specialty of Law.

**During 1992-1996** was a Chief Consultant at the Supreme Court of Georgia.

**During 1994-1997** was a member of the Governmental Commission`s drafting committee for elaboration of the Criminal Code of Georgia; whereas, 1995-1999 was a member of the Editorial Board of the "Martlmsajulebis Matsne" (the Herald of Justice of Georgia).

**In 1996** took a Management Courses of TACIS.

**During 1996-1997** was the head of the department for Unification of Judicial Practice at the Supreme Court of Georgia.

**During 1996-1997** was at extended scientific internship at Wayne State University (Michigan, USA), where delivered lectures besides of her scientific career. She took a specialized course in English language at the same university.

**In 1998 took** an internship at the Institute of Federalism Studies of Hanover (Germany).

**In 1997** was elected as a member of the High Council of Justice of Georgia, where she worked until 2000.

**In 1998** became a candidate of legal science, specialization: Constitutional Law, International Law, Administrative Law (Ivane Javakhishvili Tbilisi State university); PhD thesis: "Impeachment in the United States (Constitutional Dilemmas)".

**During 2000-2005** was Director of the Human Rights Centre established by her; whereas in 2005-2006 was an Advisor in the Law of European Convention of Human Rights at the Supreme Court of Georgia.

**In 2006** after defending a PhD Thesis was granted an academic degree – a Doctor of International Law, with "Magna cum laude"

distinction; Specialization: International Law; Phd Thesis: "Freedom of expression in the context of fair balance of conflicting values" (according to the European Convention on Human Rights and Strasbourg Court Jurisprudence).

**During 2007-2013** was a contractor of the European Court of Human Rights on procession and translation issues of Court Jurisprudence (HRTF Translations Project).

**In 2007** took an internship and training at the Academy of European Law (Trier, Germany); whereas in 2009 at the Supreme Court of Israel and the Knesset. Has obtained international Certificates of OSCE, TACIS, ABA, ERA and the National Centre of State Courts (USA).

**During 2009-2013** was a Defense Lawyer on the cases involving ECHR proceedings; a member of Georgian Lawyers' Association. In 2010 obtained a Lawyer's License with specialization in Criminal Law.

**Since 2012** has been a Professor at the Saint Andrew Georgian University (Constitutional Law, Fundamental Rights and Freedoms, European Human Rights Law, Law of The ECHR).

**In 2013** took an internship and training at the Commission on Judicial Performance (San Francisco); in 2014 at Avoués National Chambre of the Courts of Appeal of France, Paris; in 2014 at Dresden Supreme Circuit Court and in 2015 Spanish General Council for The Judiciary, (Madrid).

**In 2013-2016** was a member of the State Interagency Coordinating Council for Criminal Justice System Reform.

**In 2013-2017** was a member of High Council of Justice of Georgia. She was engaged in pedagogical activities at the High School of Justice in the same years.

**In 2015** became a national trainer on Human Rights (UNDP in Georgia).

**Since 2016** has been a real member of the Abkhazian National Academy of Sciences.

Is the author of more than 100 scientific articles, published in the 6 countries on different languages.

**On December 1, 2017** was elected as the member of the Constitutional Court of Georgia by the Parliament of Georgia. She started to exercise the authority of the Judge on January 12, 2018 from the day of oath-taking.




## გიორგი თევდორაშვილი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი

## GEORGE TEVDORASHVILI

JUSTICE, Secretary of the Constitutional Court of Georgia

დაიბადა 1977 წლის 28 სექტემბერს ქ. თბილისში.

წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1999 წ.), სპეციალობით სამართალმცოდნეობა.

**1999–2002** წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტურაში საკონსტიტუციო სამართლის მიმართულებით.

**1999–2000** წლებში ეკავა საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს იურიდიული სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობა.

**2000–2004** წლებში მუშაობდა ქართულ–ბრიტანული ერთობლივი საწარმოს შპს „მერფი–ჯორჯიას" იურისტად.

**2003** წელს დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი და მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი (Ph.D).

**2004–2005** წლებში მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოს აპარატის უფროსის თანამდებობაზე.

**2006–2008** წლებში მუშაობდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ანალიტიკური ჯგუფის მთავარი მრჩევლის თანამდებობაზე.

**2006–2011** წლებში კითხულობდა ლექციებს კავკასიის სამართლის სკოლაში საკონსტიტუციო სამართლის მიმართულებით.

**2008–2012** წლებში ეკავა სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის იურიდიული, მეთოდოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსის თანამდებობა.

**2012 წლიდან-2021 წლამდე** ეკავა სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობა და იყო საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (MONEYVAL) კომიტეტში.

**2003** წლიდან დღემდე ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, არის სამართლის დოქტორი, იურიდიული ფაკულტეტის საკონსტიტუციო სამართლის ასოცირებული პროფესორი და სადისერტაციო საბჭოს წევრი. მიჰყავს სასწავლო კურსები ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე.

საკონსტიტუციო სამართლის საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნიერო პუბლიკაცია. არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის რეცენზენტი, მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოების თანაავტორი.

**2021 წლის 13 ივლისს** საქართველოს პრეზიდენტის N287 ბრძანებულებით დაინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ, ამავე წლის 5 აგვისტოს, ფიცის დადების დღიდან, შეუდგა მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებას.

**2021 წლის 1 დეკემბერს**, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ არჩეულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნად.

Born on September 28, 1977, in Tbilisi.

Graduated with honors from the Faculty of Law, Ivane Javakhishvili Tbilisi State University (1999), with specialty of Lawyer.

**During 1999-2002** was a post-graduate student at the Faculty of Law of the same University in the field of Constitutional Law.

**During 1999–2000** was Deputy Head of the Legal Division of Ministry of Transportation of Georgia.

**During 2000–2004** was the Lawyer of British-Georgian Company “Murphy Georgia LLC”.

**In 2003** defended a Dissertation Thesis and was granted with Ph.D. in Law.

**During 2004–2005** was the Head of Apparatus of Tbilisi District Court (2004 – 2005).

**During 2006-2008** was a Chief Adviser of the Analytical Group of the Administration of the President of Georgia.

**During 2006–2011** delivered lectures at Caucasus School of Law on Constitutional Law.

**During 2008-2012** was the Head of Legal, Methodology and International Relations Directorate of LEPL Financial Monitoring Service of Georgia.

**During 2012-2021** was the Deputy Head of LEPL Financial Monitoring Service of Georgia and the Head of Georgian Delegation in the Council of Europe Committee of Experts on the Evaluation of Anti-Money Laundering Measures (MONEYVAL).

**Since 2003**, he has been engaged in scientific and pedagogical activities at the Faculty of Law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University. He holds a Ph.D. in Law, is an Associate Professor of Constitutional Law, and is a member of the Dissertation Board. He delivers academic courses for Bachelor's and Master's students.

He has published up to 20 scientific papers on the topics of constitutional law. He is a reviewer of numerous scientific papers and a co-author of a monograph and several books.

**On July 13, 2021** was appointed as the member of the Constitutional Court of Georgia with the Decree N 287 issued by the President of Georgia. He started to exercise the authority of the Judge on August 5, 2021 from the day of oath-taking.

**On December 1, 2021** he was elected as a Secretary of the Constitutional Court of Georgia by the Plenum of the Constitutional Court of Georgia.



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA




## გიორგი კვერენჩხილაძე
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი

## GIORGI KVERENCHKHILADZE
JUSTICE

დაიბადა 1972 წლის 21 ოქტომბერს ქ. თბილისში.

წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1994 წ.), სპეციალობით სამართალმცოდნეობა და ასპირანტურა საკონსტიტუციო სამართლის სპეციალობით.

**1993-1999** წლებში მუშაობდა საქართველოს პარლამენტის აპარატში სხვადასხვა თანამდებობაზე, იყო პარლამენტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი, ფრაქციის აპარატის უფროსი, იურიდიული კომისიის წამყვანი სპეციალისტი.

**1998** წელს დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი და მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი (Ph.D).

**2000-2003** წლებში იყო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის იურიდიული სამსახურის უფროსი.

**2004-2006** წლებში მუშაობდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანაშემწედ, 2006-2007 წლებში ეკავა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა.

**2005-2007** წლებში მონაწილეობდა კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამებში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა (სტრასბურგი) და ევროპის საჯარო სამართლის ცენტრში (ათენი).

**2009-2012** წლებში იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჟურნალ „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვის" მრჩეველი.

**2009-2010** წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი და აღმასრულებელი ხელისუფლების საკითხთა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი.

**2009-2012** წლებში იყო სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი.

**2010-2012** წლებში მონაწილეობდა გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გერმანული საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამეცნიერო საგრანტო პროექტებში.

**2009-2014** წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, 2011-2014 წლებში - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

**2014-2016** წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მდივანი.

**2014-2016** წლებში ეკავა საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის თანამდებობა.

**2016** წელს იყო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსი.

**2016 წლის 12 სექტემბერს** საქართველოს პრეზიდენტის N231 ბრძანებულებით დაინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ, ამავე წლის 2 ოქტომბერს, ფიცის დადების დღიდან, შეუდგა მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებას.

**1996 წლიდან** დღემდე ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, არის სამართლის დოქტორი, იურიდიული ფაკულტეტის საკონსტიტუციო სამართლის პროფესორი და სადისერტაციო საბჭოს წევრი. მიჰყავს სასწავლო კურსები ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე (საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი, საკონსტიტუციო სამართლის გაღრმავება, ქართული კონსტიტუციონალიზმი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, იმიტირებული პროცესი საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში).

